ხელშეკრულება № 12-109/2-2019
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი 31. 12. 2018 წ.

შემსყიდველი: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, წარმოდგენილი მინისტრის მოადგილის ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანის სახით.
მისამართი: ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. №52;
ტელ.: 2200 220
საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა, კოდი: TRESGE22; ა/ა GE24NB0330100200165022;
საიდენტიფიკაციო კოდი 202051224;

მიმწოდებელი: შპს „ორისი" წარმოდგენილი მისი დირექტორის **დავით გოთოშიას** სახით,
მისამართი: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №12ბ, V სართული
საბანკო რეკვიზიტები: ს/ს „საქართველოს ბანკი"; კოდი: BAGAGE22; ა/ა GE88BG0000000120121601
საიდენტიფიკაციო კოდი 206033754

ერთი მხრივ - შემსყიდველი და მეორე მხრივ - მიმწოდებელი, 18.12.2018წ. N1626867სამსახურებრივი ბარათის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 25.12.2018წ. N3205 განკარგულებისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს SPM180002922 თანხმობის გათვალისწინებით და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის "ა" ქვეპუნქტის საფუძველზე, დებენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:
1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.
1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
1.3 „დღე", „კვირა", „თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე.
1.4 „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.5 „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.
1.6 „მომსახურება" – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი და კლასიფიკატორის კოდი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს კომპიუტერული პროგრამა **"ორის-მენეჯერის" სერვერის და სამუშაო ადგილების (ქსელში) ლიცენზიის განახლების, სამუშაო ადგილის (ქსელში) შესყიდვა (CPV48900000),** კერძოდ:
2.1.1. ორის-მენეჯერი სერვერის ლიცენზიის განახლება MSL/U (1 წლის ვადით);
2.1.2. ორის-მენეჯერი სამუშაო ადგილის (ქსელში) ლიცენზიის განახლება MN1/U 9 სამუშაო ადგილი (1 წლის ვადით).
2.1.3 ორის-მენეჯერის სამუშაო ადგილის (ქსელში) ლიცენზიის შესყიდვა MSL/U 7 სამუშაო ადგილი (1 წლის ვადით);

3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **53771.00 (ორმოცდაცამეტი ათას შვიდასსამოცდათერთმეტი) ლარს.**
3.1.1 ორის-მენეჯერი სერვერის ლიცენზიის განახლების MSL/U ღირებულება შეადგენს **1640.00 (ერთი ათას ექვსას ორმოცი) ლარს**
3.1.2 ორის-მენეჯერის 9 სამუშაო ადგილის (ქსელში) ლიცენზიის განახლების MN1/U ღირებულება 12 თვის ვადით, შეადგენს **10663.00 (ათი ათას ექვსასსამოცდასამი)** ლარს.

3.1.3 ორის მენეჯერის 7 სამუშაო ადგილის (ქსელში) ლიცენზიის შესყიდვა MN1/U ღირებულება 12 თვის ვადით, **41468.00 (ორმოცდაერთი ათას ოთხასსამოცდარვა)** ლარს.

3.2 ხელშეკრულების ღირებულებაში შედის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადი, მათ შორის დღგ, რომლის გადახდა ეკისრება "მიმწოდებელს".

4. შესყიდვის ობიექტის განხორციელების პირობები

4.1 „მიმწოდებელმა" უნდა უზრუნველყოს 2 მუხლით გათვალისწინებული მომსახურების განხორციელება (ლიცენზიების განახლება), ვადაში 1 წლის ვადით:

- ორის-მენეჯერი სერვერის ლიცენზიის MSL/U განახლება;
- ორის-მენეჯერის 9 სამუშაო ადგილის (ქსელში) ლიცენზიის MN1/U განახლება - 2019 წლის 1 თებერვლიდან 1 წლის ვადით.
- ორის-მენეჯერის 7 სამუშაო ადგილის (ქსელში) ლიცენზიის MN1/U შესყიდვა - 2019 წლის 1 იანვრიდან 12 თვის ვადით

კომპიუტერული პროგრამა და სახელმძღვანელო წარმოადგენს შპს „ორისის" საკუთრებას და დაცულია კანონით. ყველა უფლება პროგრამაში ინტეგრირებულ Microsoft Visual Basic for Applications-ზე ეკუთვნის კომპანია Microsoft-ს.

4.2 პროგრამის ერთკომპიუტერიანი ვერსიის ლიცენზიის შემთხვევაში, მომხმარებელს უფლება აქვს იმუშაოს ერთ კომპიუტერზე ან ქსელური ლიცენზიის შემთხვევაში – ლოკალურ ქსელში ჩართულ შესაბამისი რაოდენობის კომპიუტერზე.

4.3 პროგრამა და სახელმძღვანელო წარმოდგენილია „როგორც არის" ისეთი ფორმით და შეიძლება არ შეესაბამებოდეს მომხმარებლის (შემსყიდველის) ყველა მოთხოვნას. შპს „ორისი" არ იძლევა გარანტიას, რომ პროგრამა უშეცდომოა. შპს „ორისი" არანაირ ვითარებაში არ იღებს პასუხისმგებლობას მონაცემთა, ფულად, პირდაპირ ან ირიბ დანაკარგებზე, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს პროგრამის გამოყენებით ან გამოყენების შეუძლებლობით, იმ შემთხვევაშიც კი თუ შპს „ორისი" წინასწარ იყო ინფორმირებული ამგვარი დანაკარგების შესახებ. არანაირ ვითარებაში დანაკარგების ანაზღაურების თანხა არ შეიძლება აჭარბებდეს მომხმარებლის მიერ ფაქტიურად გადახდილ პროგრამის ღირებულებას.

5. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.4 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში.

4.5 ანგარიშსწორების საფუძველია მხარეების უფლებამოსილი პირების მიერ გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტი.

4.6 "მიმწოდებელთან" ანგარიშსწორება ხორციელდება ეტაპობრივად, 4.1. პუნქტში განსაზღვრული პროცედურების დასრულების შემდეგ, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

4.7 წინასწარი ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

4.8 დაფინანსების წყარო: 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი, („განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება" (პროგრამული კოდი 320101).

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მხარეებს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

6.2 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს საბუღალტრო აღრიცხვისა და მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი, ნანა ხმალაძე.

7. მხარეთა უფლებები

7.1. "მიმწოდებელს" უფლება აქვს ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს თანხის დროული ანაზღაურება.

7.2 „შემსყიდველს" უფლება აქვს:

7.2.1. მოითხოვოს მომსახურების გაწევა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში.

7.2.2. გადასცეს სალიცენზიო უფლებები მესამე მხარეს იმ შემთხვევაში, თუ მესამე მხარე თანახმაა შეასრულოს მოცემული სალიცენზიო ხელშეკრულების ყველა პირობა. ამ შემთხვევაში, შემსყიდველმა უნდა გადასცეს მესამე მხარეს პროგრამა და სხვა თანმხლები მასალა, ხოლო თავის კომპიუტერზე წაშალოს პროგრამის ყველა ასლი.

7.2.3. პროგრამის შეძენიდან ერთი წლის განმავლობაში შპს ორისი უზრუნველყოფს პროგრამის კომპიუტერზე

დაყენებასთან და სარგებლობასთან დაკავშირებულ სატელეფონო და საკონსულტაციო მომსახურებას შპს ორისის ტერიტორიაზე. შეძენიდან ერთი წლის განმავლობაში შემსყიდველს უფლება აქვს მიიღოს პროგრამის განახლებული ვერსიები, იმ შემთხვევაში თუ პროგრამის განახლებული ვერსიები გამოშვებული იქნება შპს ორისის მიერ აღნიშნულ ვადაში.

7.2.4. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის კონტროლი. კონტროლს განახორციელებს მეტერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს ტექნოლოგიების მენეჯერი სამველ კარაპეტიანი.

8. მხარეთა ვალდებულებები

8.1. "მიმწოდებელი" ვალდებულია:

8.1.1 დადგენილ ვადაში 4.1 პუნქტის შესაბამისად უზრუნველყოს "შემსყიდველი" გაწეული მომსახურებით.

8.1.2. დროულად განიხილოს "შემსყიდველის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

8.1.3 პროგრამის მომხმარებლის მიერ პროგრამის შეძენიდან ერთი წლის განმავლობაში უზრუნველყოს სატელეფონო და საკომუნიკაციო მომსახურებით შპს ორისის ტერიტორიაზე. მომხმარებელს აგრეთვე უფლება აქვს მიიღოს პროგრამის განახლებული ვერსიები დამატებითი ანაზღაურების გარეშე.

8.2. "შემსყიდველი" ვალდებულია:

8.2.1. უზრუნველყოს "მიმწოდებლისათვის" თანხის გადახდა მე-5 მუხლით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

8.2.2. დროულად განიხილოს "მიმწოდებლის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში, დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გაუწეველი მომსახურების ღირებულების 0,2%-ის ოდენობით.

9.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების არაჯეროვანი (ნაწილობრივ) შესრულების შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლოს გადახდა შესასრულებელი (დარჩენილი) ვალდებულების ღირებულების 5%-ის ოდენობით.

9.3 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით.

9.4 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას გადააჭარბებს 10 კალენდარული დღით, შემსყიდველი იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და ასევე, გამოიყენოს ამ მუხლის 9.3 ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირობები.

9.5 მე-5 მუხლის 4.3 პუნქტში მითითებული ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსილია შემსყიდველს დააკისროს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

9.6 დაკისრებული პირგასამტეხლო გადახდილი უნდა იქნას მხარისათვის აღნიშნულის თაობაზე გადაწყვეტილების (წერილი პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე) შეტყობინებიდან არაუგვიანეს 1 თვის ვადისა.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.
10.4 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებლი მიზეზების გამო წარმოიშვება ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
10.5 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
10.6 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. ფორს-მაჟორი

11.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს არ გამოიწვევს წინამდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული სანქციების გამოყენებას.

11.2 ამ მუხლის მიზნებისათვის ფორს-მაჟორი ნიშნავს ისეთ გარემოებებს, რომელთა არსებობის გამო მხარისათვის ობიექტურად შეუძლებელი იყო სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულება (სტიქიური მოვლენები, საომარი მოქმედება, ეპიდემია, კარანტინი, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირება, მომსახურების მიწოდებაზე ემბარგოს დაწესება, სახელწიფო გადატრიალება და სხვ.).
11.3 მიმწოდებლის მიერ ფორს-მაჟორული გარემოების დადგომა უნდა დასტურდებოდეს საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიერ .
11.4 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ინტერესთა კონფლიქტი

"სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, წინამდებარე ხელშეკრულებაზე და მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერნი და კონტროლის განმახორციელებელი პირები სრულად აკმაყოფილებენ კანონის ამ მოთხოვნას და არ იმყოფებიან ინტერესთა კონფლიქტში მიმწოდებელთან.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2020 წლის 30 მარტის ჩათვლით, მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე.
14.2 მხარეები ვალდებულნი არიან ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგაც შეასრულონ თავისი ვალდებულებები, თუ ეს ვალდებულებები წარმოიქმნა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

15.ზოგადი დებულებები

15.1 არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება, მეორე მხარისაგან წერილობითი თანხმობის გარეშე თავისი უფლებები ან ვალდებულებები გაასხვისოს ან გადასცეს მესამე პირებს.
15.2 მხარეები თანხმდებიან, რომ ის ურთიერთობანი, რომლებიც არ იქნა დარეგულირებული წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

15.2 ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტაცია, რომლებიც გაიცვლება მხარეთა შორის ფორმდება ქართულ ენაზე.

15.3ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ორი რჩება შემსყიდველს, ერთი – მიმწოდებელს.

მხარეები არსებითად ეთანხმებიან წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს, რასაც ადასტურებენ ხელმოწერით:

შემსყიდველის მხრიდან:	მიმწოდებლის მხრიდან:
მინისტრის მოადგილე	დირექტორი
ნათია ზედგინიძე ჯიშკარიანი	დავით გოთოლია